gwp
მეტი ვიდრე უბრალოდ წყალი
MORE THAN JUST WATER

№ 0G20-0381004 D 24.02.2020

ბატონ ირაკლი ასკურავას
მისამართი: სანზონა, კორპ.#1, ბინა #7
ტელეფონი: 597 73 71 77

შპს ,,ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერმა“ (შემდგომში ,,კომპანია“) განიხილა თქვენი განცხადება (,,კომპანიაში“ რეგისტრაციის #IN№20-0375014, თარიღი: 10/02/2020წ.) დიდი დიღომი IV მ/რ, კორპ.#25-ის მიმდებარედ მდებარე მიწის ნაკვეთზე საკ. კოდი N01.10.07.004.025 მიწისქვეშა კომუნიკაციების ადგილმდებარეობის შესახებ.

გაცნობებთ, რომ ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთის (საკ. კოდი N01.10.07.004.025) ე.წ. „წითელ ხაზებთან“ არსებულ საკომუნიკაციო გვირაბში გაედინება შპს ,,ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ ბალანსზე რიცხული წყალსადენის D=110 მმ-იანი და D=200 მმ-იანი ქსელები.

გასათვალისწინებელია, რომ წყალსადენ-წყალარინების ქსელებთან დაკავშირებით მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი რეგულაციები, რომელთა შესრულებაც სავალდებულოა ყველა ფიზიკური და იურიდიული პირისთვის.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 16 აგვისტოს N297/ნ ბრძანებით დამტკიცებული „გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის ნორმების“ დანართი 5-ის („წყალმომარაგების წყაროებისა და სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყალსადენების სანიტარული დაცვის ზონები. სანიტარული წესები და ნორმები. სანწდან 2.1.4. 000 – 00“), სამშენებლო ნორმების და წესების (სანდაწ 2.04.02-84) და აგრეთვე, „კომპანიის“ ტექნიკური საბჭოს 2017 წლის 11 აგვისტოს გადაწყვეტილების (ოქმი N8) და ტექნიკური საბჭოს 2017 წლის 4 ოქტომბრის გადაწყვეტილების (ოქმი N12) თანახმად, წყალსადენ-კანალიზაციის მილებთან მიმართებაში დადგენილია სანიტარული უსაფრთხოების ზოლი, რომლის არეალი აითვლება წყალსადენ-წყალარინების ქსელებიდან ორივე მხარეს: თუ მშრალი გრუნტია - არანაკლებ 10 მ-ისა, როცა წყალსადენ-წყალარინების ქსელების დიამეტრი 1000 მმ-მდეა და არანაკლებ 20 მ-ისა, როცა წყალსადენ-წყალარინების ქსელების დიამეტრი 1000 მმ-ზე მეტია, ხოლო გრუნტის წყლების არსებობისას, არანაკლებ 50 მ-ისა, მილის დიამეტრის მიუხედავად. ზემოაღნიშნული ნორმების საფუძველზე, სანიტარული დაცვის ზოლებში იკრძალება ნაგავსაყრელების, საასენიზაციო მინდვრების, სასაფლაოების, ცხოველთა სამარხების, ავტოგასამართი (ბენზინგასამართი) სადგურების მოწყობა და ფუნქციონირება. სანიტარული დაცვის ზოლებში, აგრეთვე, იკრძალება ნებისმიერი იმ სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოს მოწყობა და ფუნქციონირება,

რომელმაც შესაძლებელია გააუარესოს ნიადაგისა და გრუნტის წყლების სანიტარული მდგომარეობა.

რაც შეეხება სამშენებლო ნორმებით და წესებით (სნდაწ II-89-80; სნდაწ 2.07.01-89) დადგენილ რეგულაციებს, მანძილი (დაშორება) ჰორიზონტალურად ქსელებიდან ნებისმიერ შენობა-ნაგებობებამდე უნდა იყოს: წყალსადენის და წნევიანი წყალარინების შემთხვევაში - არანაკლებ 5 მეტრი, ხოლო თვითდენითი წყალარინების შემთხვევაში - არანაკლებ 3 მეტრი. შესაბამისად, მოცემულ არეალში, წყალსადენის ქსელებიდან 5 მეტრამდე მანძილზე, ხოლო წყალარინების ქსელებიდან 3 მეტრამდე მანძილზე ნებისმიერი მშენებლობა დაუშვებელია.

აღნიშნული წყალსადენის ქსელების გარშემო ტერიტორია ითვლება გაზრდილი რისკის ზონად, ამიტომ ,,კომპანიას“ აუცილებლად მიაჩნია წყალამრიდი ჯებირისა და სადრენაჟე არხის მოწყობა შენობა-ნაგებობებისათვის, რათა ქსელების დაზიანების შემთხვევაში თავიდან იქნას აცილებული შესაძლო ზარალის რისკი.

ამავე გარემოების გათვალისწინებით კომპანია გამორიცხავს მილსადენების ზონაში მრავალწლიანი ნარგავების დარგვას, ავტოსადგომების, სკვერების, ბავშვთა გასართობი მოედნების და კიდევ სხვა აქტიური საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობას.

თუ ფიზიკური/იურიდიული პირების მიერ არ იქნება დაცული ზემოაღნიშნული სანიტარული და სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნები, ისინი სრულად აგებენ პასუხს ამგვარი მოთხოვნების დარღვევის შედეგად დამდგარ ზიანზე, ხოლო მიწისქვეშა ქსელებზე მომხდარი ავარიის/დაზიანების შემთხვევაში, მათთვის მიყენებულ ზარალზე (ზიანზე) “კომპანია“ იხსნის ყოველგვარ პასუხისმგებლობას. ფიზიკური/იურიდიული პირების მიერ ზემოაღნიშნული სანიტარული და სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში, “კომპანია“ იტოვებს უფლებას, მიმართოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურ ინსპექციას მშენებლობის აკრძალვის/შეჩერების მოთხოვნით.

ამასთანავე, ,,კომპანია“ გაცნობებთ, რომ განცხადებაში მითითებულ მიწის ნაკვეთზე შესაძლებელია გადიოდეს, სხვა, მესამე პირთა კერძო საკუთრებაში/მფლობელობაში არსებული წყალსადენ-წყალარინების ქსელები, რომელთა შესახებ კომპანია ინფორმაციას არ ფლობს.

პატივისცემით,

გიორგი სვანიშვილი
კომერციული დირექტორი

შემსრულებელი: გ. მურღულია
ტელეფონი: 293 11 11 (2102)

თბილისი
ენერჯი

მიცკევიჩის ქ. №18ა, თბილისი, 0194, საქართველო
+995 (32) 237 64 93; info@te.ge; www.te.ge

№ 01-01-9639-20
24 / 02 2020

მოქალაქე ირაკლი ასკურავას
მისამართი: ქ. თბილისი, სანზონა კორპ. №1, №7
ტელ. 597737177

ბატონო ირაკლი,

თქვენი მიმდინარე წლის 10 თებერვლის №01-01-9639-20 განცხადების პასუხად, რომელიც ეხება ქ. თბილისში, დიდი დიღომი IV მიკრო რაიონში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი №01.10.07.004.025) დაგეგმილ სამშენებლო სამუშაოებს გაცნობებთ, რომ შპს „თბილისი ენერჯი“ თანახმაა განახორციელოთ დაგეგმილი სამუშაოები, ვინაიდან აღნიშნულ საკადასტრო ერთეულზე კომპანიის გაზსადენები არ გადის.

პატივისცემით,

გიგლა თამაზაშვილი
დირექტორი ტექნიკურ საკითხებში

საქართველო, თბილისი 0119, ვანის ქ.3
ტელ: +995 (32) 277 99 99
www.telasi.ge

Номер: 0212/011/20

Дата: 12/02/2020

მოქალაქე ირაკლი ასკურავას

პ/ნ 01032006213

მის: ქ. თბილისი, სანზონა, კორ. N1. ბინა N7.

ტელ: 597 73 71 77

ბატონო ირაკლი,

თქვენი მიმდინარე წლის წერილი N **0210/359/20** პასუხად გაცნობებთ, რომ ჩვენს ხელთ არსებული მონაცემებით წერილში მითითებულ ტერიტორიაზე და მიმდებარედ არ გადის სს "თელასი"-ს კუთვნილი საკაბელო და საჰაერო ხაზები.

პატივისცემით,

ტექნიკური დირექტორის მ.შ ზვიად ვაშაკიძე

შემსრულებელი:

ვ. სისაური

ტელ:2779999-1-7881

შ.პ.ს. „დიდი დიღომი"

„ტექნიკური პირობა პროექტირებისათვის

(მოქმედების ვადა 24 თვე გაცემის დღიდან)

№ 521 „13" მარტი 2020 წ.

დიდი დიღომი მირიან მეფის ქ. №11

(საპროექტო ორგანიზაცია, დამკვეთი)

~~შპს „ინა ანდრეს ჯგუფი" ს/კ-ს შპს-ის №25~~

~~კომპლექსის მშენებლობა გამწვანების პროექტზე.~~

შემოსული განცხადება (განმცხადებელი, წერილის №, თარიღი) №521 13 მარტი 2020წ.

1. ~~შპს-ის შპს-ის №25 კომპლექსის მშენებლობა „შპს ანდრეს ჯგუფის" მშენებლობა კომპლექსის წინ მოეწყობა გამწვანება.~~

2. ობიექტის დახასიათება საცხოვრებელი 4/3.01 10.07.004.025 ნაკვეთზე.

2.1. ობიექტის ტიპი (საცხოვრებელი სახლი, არასაცხოვრებელი, დამხმარე ფართი არასაყოფაცხოვრებო, კომერციული ობიექტი)

2.2. ობიექტის გაზის ხარჯი (დასაპროექტებელი დანადგარები და მათი ხარჯი)

2.2.1. სულ მ³/სთ.

2.2.2. დანადგარები: ———————————————————

გაზსადენი: ~~მიწის ზედა, ფოლადის ძაბვის ტერმინალური წნევის გაზსადენი~~ თონის ჩასართან ~~მიერთება. გაზის ტერმინალური წნევის~~ გაზსადენზე თითოეულ ჭიდან ~~განშტოება დაგეგმილია~~ „ყასაბოთხოეთის წვეთი ქარხნის შეყვანით ჭ" ნოჩვენ და შედგენილ შენობა ნაგებობათა სანიტარულ ზონაში ~~ობიექტების გაზიფიცირება მოხდეს მიწის ზედა ფოლადის მილებით. (მიწისქვეშა პოლიეთილენის მილებით).~~

(ადგილმდებარეობა, წნევა, დიამეტრი, მანძილი ობიექტიდან მიერთების წერტილამდე)

3. გაზმომარაგებისათვის საჭირო დამატებითი პირობები:

3.1. საპროექტო გაზსადენის მშენებლობა პერსპექტივის გათვალისწინებით;

3.2. არსებული მცენებაი გაზსადენის წარმადობის გაზრდა (დიამეტრიც შეცვლა, გადალაგება), მარეგულირებელი ნაგებობების დამატება, ახალი მომხმარებლის მიერთებასთან დაკავშირებით;

3.3. მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების გაზის მრიცხველების მოწყობა საძარბაზოებში, ან შენობის გარე კედელზე (პირველი სართულის ღონეზე), სპეციალურ კარადებში.

3.4. მიწისქვეშა გაზსადენების მშენებლობა პოლიეთილენის მილებით;

4. ~~ტექნიკური პირობა გაიცემა საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2009 წლის 9 ივლისის №12 დადგენილებით დამტკიცებული „ბუნებრივი გაზის მიწოდებისა და მოხმარების წესების" საფუძველზე.~~

5. მშენებლობის დამთავრების შემდეგ აშენებული გაზსადენები გადაეცეს შ.პ.ს. „დიდ დიღომ"-ს შემდგომი ექსპლუატაციისთვის.

გაზის მეურნეობის მთავარი სპეციალისტი ბ. ღიბრაძე

შპს "დიდი დიღომი" DIDI DIGOMI LTD 204962825

წერილის ნომერი: **62-01201391969**
თარიღი: **18/05/2020**
პინი: **3043**

ადრესატი: ირაკლი ასკურავა
პირადი ნომერი: 01031006213
მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, სანზონის დასახლება, კორპუსი 1ა, ბინა 7

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

მოქალაქე ირაკლი ასკურავას
მცხ. სანზონა, კორპ.#1. ბ/7
პ/ნ 01031006213

ბატონო ირაკლი,

გაცნობებთ, რომ ჩვენი კომპანიის სანიაღვრე სამსახურის წარმომადგენლების მიერ განმეორებით იქნა შესწავლილი დიდ დიღომში არსებული მიწის ნაკვეთი ს/კ 01.10.07.004.025. გაირკვა, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე ნამდვილად გადის ქ. თბილისის მუნიციპალურ მფლობელობაში არსებული სანიაღვრე კოლექტორი.

PDF - ფაილის სახით წარმოგიდგენთ ჩვენს ხელთ არსებულ ინფორმაციას მითითებულ ტერიტორიაზე გამავალი სანიაღვრე კოლექტორის მდებარეობის შესახებ. კოლექტორის ზუსტი მდებარეობის დასადგენად საჭირო იქნება თქვენს მიერ მასზე დამატებითი გეოდეზური ღონისძიებების ჩატარება.

ასევე გაცნობებთ, რომ ნებისმიერი შენობა-ნაგებობა კოლექტორის კედლიდან დაშორებული უნდა იქნეს არა ნაკლებ 5 მეტრისა.

ზაზა ბერიშვილი

შპს "თბილსერვის ჯგუფი"-სანიაღვრე და სადრენაჟე ქსელების ექსპლოატაციის სამსახური-სამსახურის უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

ს/კ 01.10.07.004.025

ს. ცხავაძის ქ.

დემეტრე თავდადებულის ქ.

ბაგრატ III-ის ქ.

პირობითი ნიშნები

არსებული სანიაღვე ქსელი

არსებული დრენაჟი

არსბეული საკონტროლო ჭა

საკადასტრო ნაკეთის საზღვარი
01.10.07.004.025

საპროექტო ტერიტორიის გენგეგმა
მ. 1:350

ექსპლიკაცია
1. მთ. მისასვლელი გზა
2. საპროექტო შენობა
3. ღია ავტოსადგომი
4. სამანქანო პანდუსი
5. გამწვანება
6. სანიაღვრე

